



უთხარით ვისაც ენდობით

ისარგებლეთ ლანსაროტის
კონვენციის უფლებებით

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

ევროპის საბჭოს ვიდეო „უთხარით ვისაც ენდობით“, სადაც ყურადღება გამახვილებულია ნდობის წრეში სექსუალური ძალადობის საკითხებზე და ლანსაროტის კონვენციის ძირითად გზავნილებზე, 9-დან 13 წლამდე ასაკის ბავშვებს სთავაზობს შესაძლებლობას ერთი გოგონას ისტორიის დახმარებით გაიგონ, თუ რას წარმოადგენს სექსუალური ძალადობა და როგორ შეიძლება დავიცვათ მისგან ბავშვები.

ევროპის საბჭოს სურს დაიცვას ბავშვები ძალადობისაგან, განსაკუთრებით კი სექსუალური ძალადობისგან და სექსუალური იძულებისგან. ერთ-ერთი ჩვენი კონვენცია, ლანზაროტეს კონვენცია, ყურადღებას ამახვილებს ძალადობის ამ კონკრეტულ ფორმაზე. იმისათვის, რომ ბავშვებს ესმოდეთ აღნიშნული კონვენციის ძირითადი გზავნილები, და თუ რას აკეთებს ეს კონვენცია მათთვის. ვიდეო „უთხარით ვისაც ენდობით“ მომზადებულია ბავშვების კონკრეტულ ჯგუფთან ერთად.

მოცემულ ბუკლეტში განმარტებულია ის ძირითადი გზავნილები, რომლებიც ვიდეოშია ნაჩვენები.




ყველა ბავშვს აქვს უფლება, რომ იყოს უსაფრთხოდ
და დაცული სექსუალური ძალადობისგან...



...მაგრამ არსებობენ
ადამიანები,
რომლებიც შეიძლება
საშიში იყვნენ
ბავშვებისთვის და
სურდეთ მათთვის
ზიანის მიყენება.



როდესაც ამას წაიკითხავთ, შეიძლება
ცოტა შეგეშინდეთ, ან უხერხულად
იგრძნოთ თავი, მაგრამ გთხოვთ
განაგრძეთ კითხვა, რადგან ყველა
ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ ეს ადამიანები
ყოველთვის დაბნაშავეები არიან.



ზოგიერთ ადამიანს სურს ბავშვის სხეულის ნაწილების გამოყენება სექსუალური სიამოვნების მისაღებად... ამას ეწოდება სექსუალური ძალადობა.

ყოველთვის არასწორია, თუ ვინმე გთხოვთ, ან გაიძულებთ შეეხოთ თქვენი სხეულის იმ ინტიმურ ნაწილებს, რომელიც დაფარულია საცვლებით, ან თუ ისინი გთხოვენ შეეხოთ მათ ინტიმურ ნაწილებს.

ბოგიერთ ადამიანს სურს
ბავშვების სექსუალური გზით
გამოყენება გარკვეული
მატერიალური სარგებლის
მიღების მიზნით. ამას
წოდებენ სექსუალური
ექსპლუატაცია.

ყოველთვის არასწორია,
თუ უფროსები გემუქრებიან
ან გაძღევენ ფულს,
ალკოჰოლს ან გრუქნიან
სარეკლამო იმისათვის,
რომ ისარგებლონ
თქვენი სხეულით, ან
გაგაკეთებინონ ისეთი
რეკლამა, რაც მწუხარებას,
დისკომფორტს, ან
სირცხვილს გაგრძნობინებთ.




ასევე არასწორია, თუ ვინმე გთხოვთ ან გაიძულებთ უყუროთ ფილმებს ან გამოსახულებებს, სადაც ადამიანები დაკავებული არიან სექსით.

ან თუ ვინმე ონლაინ გთხოვთ, ან გაიძულებთ გაუგზავნოთ თქვენი ისეთი ფოტოები, რომლებიც თავს არაკომფორტულად, შეშინებულად ან მოწყენილად გაგრძნობინებთ.

მათ ასევე ეკრძალებათ საკუთარი ფოტოების ან საკუთარი სხეულის ინტიმური ნაწილების ამსახველი ფოტოების თქვენთვის გამოგზავნა, მაგალითად ისეთი ფოტოების, სადაც ისინი შიშვლები არიან.

გახსოვდეთ: დამნაშავეები უფროსები არიან ... და არა თქვენ!





თქვენს ქვეყანას სურს, რომ ყველა ბავშვი დაცული იყოს სექსუალური ძალადობისგან. იმისათვის, რომ ბავშვებმა თავი უსაფრთხოდ და სექსუალური ძალადობისაგან დაცულ იგრძნონ, თქვენმა ქვეყანამ მნიშვნელოვანი დაპირებები ასახა დოკუმენტში, რომელსაც ლანსაროტის კონვენცია ეწოდება.

სხვათა შორის... ლანსაროტი არის კუნძული ესპანეთში, სადაც ქვეყნებმა ეს დაპირებები მისცეს ბავშვებს.



ეს არის რამდენიმე ყველაზე მნიშვნელოვანი დაპირება:

1. ბავშვებს, რომლებიც დახმარებას ეძებენ, აუცილებლად სერიოზულად მოეკიდებიან და მოუსმენენ.

2. უფროსებს, რომლებიც ბავშვებზე სექსუალურ ძალადობას ან ექსპლუატაციას ახორციელებენ, შეაჩერებენ.

3. ბავშვებს, რომლებიც სექსუალური ძალადობის მსხვერპლები არიან, პრობლემის გადალახვაში დაეხმარება პოლიცია, სოციალური მუშაკი, ექიმი. ისინი თქვენ დაგეხმარებიან.



თუ თქვენ, ან ვინმე თქვენი
ნაცნობი საფრთხეშია, და თქვენ
იცით ამის შესახებ, უთხარით
ვისაც ენდობით, ვისაც შეუძლია
დაგეხმაროთ, ან დარეკეთ
თქვენი ქვეყნის დახმარების
ხაზზე იმ შემთხვევაში, თუ ზუსტად
არ იცით როგორ მოიქცეთ.



ევროპის საბჭო არის ევროპული ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 47 ქვეყანას და დაფუძნებულია სტრასბურგში, საფრანგეთი. ეს ორგანიზაცია ჩამოყალიბდა იმისთვის, რომ ყველა ამ ქვეყანამ უზრუნველყოს ადამიანის უფლებების, მათ შორის ბავშვთა უფლებების დაცვა მათ მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობის პრევენციის გზით.

ევროპის საბჭოსთვის მნიშვნელოვანია მისცეს ბავშვებს აზრის გამოთქმის უფლება იმ დოკუმენტების მომზადების პროცესში, რომლებიც მათ შეეხებათ. ვიდრე რეალი „უთხარით ვისაც ენდობით“ და ეს ბუკლეტი შეიქმნა ბავშვებთან თანამშრომლობით. ბავშვების და ახალგაზრდების ორი ჯგუფი გააერთიანა Queen's University-ს ბავშვთა უფლებების ცენტრმა, ბელფასტი, ჩრდილოეთ ირლანდია. მათ ბევრი იშრომეს ვიდრე „უთხარით ვისაც ენდობით“, მოსამზადებლად, და ერთად გადაწყვიტეს თუ რა უნდა განემარტათ თქვენთვის ამ ბუკლეტში. ევროპის საბჭოს სურს განსაკუთრებული მადლობა გადაუხადოს ანნა ს-ს, ანნა მ-ს, კაომ დ-ს, ქლოეს, ელენს, ეოინს, ჯორჯიას, ლეას, ლეინს, ნიამ, ოლივერს, ფილიპს და პიტერს, რათა დაეხმარნენ 47 ქვეყნის ბავშვებს, თავისი უფლებების უკეთ გაგებასა და სექსუალური ძალადობისგან და სექსუალური ექსპლუატაციისგან თავის დაცვაში. ასევე, მადლობა ბრიკვოლის(Brickwall) ანიმატორებს ბავშვების სურვილების განხორციელებისთვის.

მადლობა ასევე ლაურა ლუნდის და მიშელ ტემპლტონს, რომელთა ცოდნამ და გამოცდილებამ ბავშვთა უფლებების სფეროში და ასევე მათმა ჩართულობამ აღნიშნული პროექტი აქცია უნიკალურად.

ევროპის საბჭოს ასევე სურს მადლობა გადაუხადოს ლუქსემბურგის მთავრობას აღნიშნული მასალების შემუშავებაში მხარდაჭერისთვის.

- ▶ იხილეთ ვიდრე „უთხარით ვისაც ენდობით“, და გაიგეთ მეტი თქვენი უფლებების შესახებ აქ: www.coe.int/children
- ▶ დაგვიკავშირდით ელექტრონული ფოსტით lanzarote.committee@coe.int

KAT

www.coe.int



Brickwall

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მონიავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 47 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთაგან 28 ევროპის კავშირის წევრია. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა კონვენციას - ხელშეკრულებას, რომელიც გამიზნულია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE